დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2009 წლის 15 დეკემბრის
№ 978 განკარგულებით

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა

| ამოცანები | ღონისძიებები | შესრულების ვადა (წელი) | პასუხისმგებელი უწყება | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორები | მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ექსპერტიზა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება** | | | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის დადგენის ექსპერტიზის სისტემის სრულყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში – ბიოფსიქოსოციალური, ფუნქციონალური (ფსკ) მიდგომის საფუძველზე | 1. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი და პილოტირების საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები შეფასების (სტატუსის მინიჭების) სისტემის სრულყოფისათვის და გეგმა – ეტაპობრივად შეფასების ახალ მოდელზე გადასასვლელად.<br><br>2. მოხდება ინვალიდობის შეფასების სისტემაში თანამედროვე მოდელის შემდგომი დანერგვა-განვითარება (საკანონმდებლო ცვლილებები, დაგეგმვა, ინსტიტუციური სტრუქტურა, პროცედურები, კადრების მომზადება, მართვა, კონტროლი და ა.შ).<br><br>3. მოხდება ექსპერტიზის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და მონიტორინგის სისტემის ორგანიზება და სრულყოფა. | 2010<br><br>2010-2012<br><br>2011-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>სხვა დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | შშ შეფასების ფსკ-ზე დაფუძნებული მოდელი და სამოქმედო გეგმა<br><br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია ახალი სტანდარტებით და აღრიცხულია | პილოტური პროგრამის განხორციელების შედეგები იძლევა შშ შეფასების ფსკ-ზე დაფუძნებულ მოდელზე გადასვლის საშუალებას<br><br>ფსკ-ზე დაფუძნებული მოდელის დანერგვის გეგმა დამტკიცებულია<br><br>სტატუსის დადგენის წესების განმსაზღვრელი დოკუმენტი და კანონმდებლობა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | შემუშავებული და მიღებულია<br><br>სისტემა დანერ-გილია; სტატუსის განსაზღვრის მოდელი შემუშავებულია და მოწონებულია |
| **შემეცნებით-საგანმანათლებლო მუშაობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** | | | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე საზოგადოების გა-თვითცნობიერება და სენსიტი-ვიზაცია, შეზღუდულ შესაძ-ლებლობასთან დაკავშირებულ სტიგმასთან ბრძოლა | 1. ტელერადიო კომპანიების მიერ შემეცნე-ბითი გადაცემების გაშვება.<br><br>2. მასმედიაში შეზღუდული შესაძლებლო-ბის საკითხებთან დაკავშირებული მთავ-რობის პოზიციისა და ღონისძიებების გა-შუქება.<br><br>3. ჟურნალისტების ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე.<br><br>4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი უფლებების გაცნობიე-რებისათვის სასწავლო პროგრამების შე-მუშავება და განხორციელება. | 2010-2012<br><br>2010-2012<br><br>2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრ-თელობისა და სოციალური დაცვის სამინის-ტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | დონორი<br><br>სახელმწიფო ბიუჯეტი | გადაცემების და საკითხის გაშუქების რაოდენობა<br><br>ტრენინგში ჩართული ჟურნალისტების რაოდენობა<br><br>სასწავლო პროგრამა დანერგილია | მინიმუმ თვეში ერთი გადაცემა 30-40 წუთი<br><br>წელიწადში 40 ჟურნალისტი გაივლის ტრე-ნინგს<br><br>სასწავლო პროგ-რამა დანერგი-ლია სოციალური და სამართლებ-რივი მიმართულე-ბის ყველა სას-წავლო სპეცია-ლობით |
| ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | 1. ქ. თბილისსა და შემდგომ სხვა ურბა-ნულ დასახლებებში შეიქმნება საინფორ-მაციო-საკონსულტაციო ცენტრი, რომე-ლიც განახორციელებს იურიდიულ, სამე-დიცინო თუ სხვა კონსულტაციებს შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირები-სათვის, გაავრცელებს ინფორმაციას შეზ- | 2010 – ქ. თბი-ლისი<br><br>2011-2012 სხვა ცენ-ტრები | ქ. თბილისის მერია<br><br>ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგა-ნოები | ადგილობრივი ბიუჯეტი<br><br>დონორი | ცენტრების არსებობის ფაქტი<br><br>მომსახურების მიმღებთა რაოდენობა | ეტაპობრივად შეიქმნა ცენტრები ქ. თბილისსა და სხვა დიდ დასახ-ლებებში შეზღუ-დული შესაძლებ-ლობის მქონე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ღუდული შესაძლებლობის საკითხების შესახებ და იქონიებს სატელეფონო ცხელ ხაზს სასწრაფო რეაგირების, მომსახურებისა თუ კონსულტაციის აღმოსაჩენად.<br><br>2. სატელევიზიო გადაცემებში საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მიწოდება ჟესტების ენის გამოყენებით. | | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br><br>სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი | | მათი სერვისით კმაყოფილების დონე<br><br>ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ჟესტების ენის გამოყენებით | პირთა 10%-მა ისარგებლა მომსახურებით<br><br>90%-ზე მეტი კმაყოფილია მომსახურების დონით<br><br>30%-ით გაიზარდა სმენა-დაქვეითებულ მაყურებელთა რაოდენობა |
| **ხელმისაწვდომი და მოწყობილი გარემო/ინდივიდუალური ადაპტაციის საშუალებები** | | | | | | |
| საჯარო დაწესებულებების და სხვა საჯარო სარგებლობის შენობა-ნაგებობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, არსებული ნორმებისა და სტანდარტების მკაცრი აღსრულების უზრუნველყოფა | 1. თანამედროვე მოთხოვნების/სტანდარტების შესაბამისობაში იქნება მოყვანილი სამშენებლო ნორმები და წესები.<br><br>2. საჯარო სარგებლობის ყველა სამშენებლო პროექტებსა და სატენდერო მოთხოვნებში შესაბამისი ნორმების გათვალისწინება.<br><br>3. გაგრძელდეს ღონისძიებები გზების ინფრასტრუქტურის დიზაინის შემუშავებისა და კეთილმოწყობისათვის; სატრანსპორტო ტერმინალები (აეროპორტები, ავტოსადგურები, პორტები, გზისპირა ინფრასტრუქტურა) მოეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საარჩევნო უბნები, პროცედურები, მოწყობილობები და მასალები არის სათანადო, მისაწვდომი, ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი. | 2010<br><br>2010-2012<br><br>2010-2012<br><br>2010-2012 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br><br>საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო<br><br>ქ. თბილისის მერია, ქალაქის არქიტექტურული და სამშენებლო სამსახურები<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები<br><br>დონორი | ნორმები მიღებულია<br><br>ინვალიდობის მქონე პირები აღნიშნავენ სიტუაციის რადიკალურ გაუმჯობესებას<br><br>ნორმების დაცულობის % ახალი მშენებლობის განხორციელებისას | ნორმები მიღებულია და შეესაბამება საერთაშორისო (ევროპულ) სტანდარტებს<br><br>გამოკითხულთა 60%-ზე მეტი კმაყოფილია სიტუაციის გაუმჯობესებით<br><br>ახალი მშენებლობის არანაკლებ 90% იცავს ნორმებს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | | | |
| საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 1. შემუშავდება შესაბამისი ნორმები, მათი დანერგვისა და ზედამხედველობის მექანიზმები.<br>2. ახალი საზოგადოებრივი სატრან-სპორტო საშუალებების (ავტობუსების) შესყიდვისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებები.<br>3. გრძელვადიან პერსპექტივაში მთლიანად ადაპტირებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადასვლა. | 2010<br>2010-2012<br>2012 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრას-ტრუქტურის სამინისტრო<br>საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო<br>ქ. თბილისის მერია, მისი სატრანსპორტო სამსახურები<br>ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოები | სახელმწიფო და ადგილობ-რივი ბიუჯე-ტები<br>დონორი | ნორმები მიღებულია<br>ინვალიდობის მქონე პირები აღნიშნავენ სიტუაციის რადიკალურ გაუმჯობესებას<br>ნორმების დაცუ-ლობის % ახა-ლი სატრანს-პორტო საშუა-ლებების შეძე-ნისას | ნორმები მიღებუ-ლია და შეესაბა-მება საერთაშო-რისო (ევროპულ) სტანდარტებს<br>გამოკითხულთა 60%-ზე მეტი კმაყოფილია სი-ტუაციის გაუმ-ჯობესებით<br>2012 წლისათვის არანაკლებ 70% ახალი საზოგა-დოებრივი სატრანსპორტო საშუალება შეესაბამება ნორმებს |
| საკომუნიკაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა | 1. ქართული ენისთვის აუდიოსინთეზატო-რის შექმნა და გავრცელება.<br>2. საჯარო დაწესებულებების სურდოთარ-ჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფა. | 2011-2012<br>2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>ქ. თბილისის მერია<br>ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის | დონორი<br>სახელმწიფო და ადგილობ-რივი ბიუჯე-ტები | პირთა რაოდე-ნობა, ვინც ისარგებლა სურდოთარჯიმ-ნების მომსახუ-რებით და სინ-თეზატორის ფუნქციონი-რებით | სინთეზატორი შექმნილია<br>2012 წლისათვის სურდო-თარჯიმნების მომსახურება შესაძლებელია საქართველოს ყველა რეგიონში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ორგანოები | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებითა და სხვა სპეციალური მოწყობილობებით უზრუნველყოფა | 1. მოხდება დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა.<br>2. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება ხარისხიანი პროდუქციით – დამხმარე საშუალებებით (საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობები, სავარძელეტლი, ხელჯოხი, ყავარჯენი) მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან მათი ოჯახის წევრების საექსპლოატაციო წესებში გაცნობიერება.<br>3. მოხდება ყრუ და სმენადაქვეითებულთათვის ინდივიდუალური საშუალებებით (სმენის აპარატებით) უზრუნველყოფა.<br>4. საჭიროების მქონე ბავშვთა კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფა. | 2010-2012<br>2010-2012<br>2010-2012<br>2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br>დონორი | საჭიროების დაფარვის % (კატეგორიების მიხედვით) | საჭიროებები ძირითადად დაფარულია |
| **განათლება** | | | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა განათლების ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემდგომი სრულყოფა და განხორციელება | 1. გაძლიერდება გეგმაზე მომუშავე ინტერდისციპლინური ჯგუფი.<br>2. მოხდება სტრატეგიის შეთანხმება ყველა დაინტერესებულ მხარესთან და საზოგადოებისათვის მისი გაცნობა. | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | შეხვედრების რაოდენობა ინტერდისციპლინურ გუნდებში<br>სტრატეგიაში შეტანილი ცვლილებები საზოგადოებრივი აზრის (ბავშვი, მშობელი, მასწავლებელი) გათვალისწინების საფუძველზე | საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით სტრატეგიაში შეტანილია ცვლილებები და ხდება მისი სრულყოფა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა და მოზარდთა იდენტიფიკაციის მექანიზმები | 1. სსსმ ბავშვთა საჭიროებების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტის შერჩევა, მისი დანერგვის მეთოდების შექმნა და სკოლებისათვის, განათლების რესურს-ცენტრებისა და სამინისტროსათვის წარდგენა.<br>2. სსსმ ბავშვთა საჭიროებების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტის პილოტირება საქართველოს რეგიონებში.<br>3. სსსმ ბავშვთა იდენტიფიკაციის და განათლების საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის საბოლოო დამტკიცება და მულტიდისციპლინური ჯგუფების მიერ ამ ინსტრუმენტის შესწავლა და დანერგვა. | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | დონორი | შექმნილი და სტანდარტიზებული ინსტრუმენტი<br>მომზადებული სპეციალისტები | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიკაცია ხდება აპრობირებული მეთოდოლოგიითა და მექანიზმებით |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა და მოზარდთა სწავლის საჭიროებების დაკმაყოფილების ფინანსური მექანიზმების შექმნა | 1. ექსპერტთა მიერ შემუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების დაფინანსების მექანიზმები.<br>2. შეირჩევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების საპილოტო ჯგუფი, მოხდება მათი საჭიროებების კვლევა და შესაბამისი ვაუჩერის განფასება (ფორმულის შემუშავება). | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | 300 ბავშვის კვლევაზე დაფუძნებული შედეგი სხვადასხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სერვისის გაწევისათვის საჭირო დირებულების ასახვით<br>შემუშავებული ფორმულა, რომელიც ასახავს ბავშვების განსხვავებულ საჭიროებებზე დაყრდნობილ | შემუშავებულია დაფინანსების მექანიზმი, რომელიც ერგება ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გათვლებს | |
| სკოლამდელი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების სისტემის ხელმისაწვდომობა და ფუნქციონალობა | 1. მოხდება სკოლამდელი ასაკის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგიის გაწერა.<br>2. ბაღის პროგრამების მომზადება და მორგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.<br>3. პედაგოგებისა და სხვა პერსონალის წვრთნა/ტრენინგი. | 2010-2011 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br>დონორი | გაწერილი და დამტკიცებული სტრატეგია სკოლამდელი ასაკის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების შესახებ<br>ინკლუზიური განათლების ეროვნულ მოდელში ასახული სკოლამდელი ასაკის სსსმ ბავშვთა განათლების პრინციპები<br>სსსმ ბავშვთან მუშაობის თანამედროვე მიდგომებით გადამზადებული 100 პედაგოგი, რომელიც მუშაობს სკოლამდელ დაწესებულებაში | |
| | 4. ბაღების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. | 2010-2011 | ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო ბიუჯეტი<br>დონორი | ადაპტირებული 15 ბაღის ფიზიკური გარემო | 15 სკოლამდელ დაწესებულებაში შშმ ბავშვებისათვის ხელსაყრელი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საგანმანათლებ-ლო სივრცე შექმნილია |
| სასკოლო განათლებაში ინკლუზიური მიდგომის ეტაპობრივი დანერგვა | 1. შემუშავდება ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების, ასევე მონიტორინგის სახელმწიფო წესები, მოხდება მათი დამტკიცება და პრაქტიკაში ამოქმედება.<br>2. მოეწყობა უწყებების საკოორდინაციო შეხვედრები წესების ამოქმედებასთან დაკავშირებით, პროგრესის შეჯამება და გაცნობა. | 2010-2011 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br>ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოები | სახელმწიფო ბიუჯეტი | გაწერილი და დამტკიცებული სახელმწიფო რეგულაციები<br>უწყებებს შორის (სკოლები, მშობლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) შეხვედრების რაოდენობა და შედეგები<br>სკოლებში სსსმ ბავშვების რაოდენობა<br>მონიტორინგის შედეგები სსსმ ბავშვების ხარისხიანი ინკლუზიური განათლების შესახებ | სახელმწიფო დონეზე არსებობს დამტკიცებული დოკუმენტი ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების, მონიტორინგის შესახებ და ხდება დოკუმენტის პრაქტიკაში ამოქმედება<br>2012 წლის ბოლოს გაზრდილია ინკლუზიური განათლების მიმწოდებელ სკოლათა რაოდენობა |
| უზრუნველყოფილ იქნეს განათლების მიწოდება ბავშვებისათვის, რომლებსაც მრავლობითი შეზღუდვები აქვთ და ინკლუზიური განათლების მოქმედ პროგრამებში არ არიან ჩართულნი | 1. მოხდება დისტანციური განათლების პრინციპების შემუშავება და მისი ასახვა სპეციალურ საგანმანათლებლო ეროვნულ მოდელში.<br>2. შემუშავდება და დაინერგება შინ განათლების ალტერნატიული მოდელები. | 2010-2011 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br>ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოები | სახელმწიფო ბიუჯეტი | არსებობს თანამედროვე მიდგომებსა და მტკიცებულებე-ბზე დაფუძნებუ-ლი დისტანცი-ური განათლე-ბის მეთოდო-ლოგია | განათლების ეროვნულ მოდელში შეტანილია დისტანციური სწავლების პრინციპები და სსსმ ბავშვებისათვის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დისტანციური განათლების მიმღებ მოსწავლეთა რაოდენობა | (რომლებიც საჭიროებენ დისტანციურ სწავლებას) ხელმისაწვდომია აღნიშნული ტიპის განათლება |
| მოხდეს სპეციალიზებული სკოლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა | 1. მოხდება სპეციალიზებულ სკოლებში მეთოდოლოგიური ცვლილებების დანერგვა, მოდელის შემუშავება, რომელიც ასახავს სპეციალიზებული სკოლიდან საჯარო სკოლაზე გადასვლას (თავისუფალი მიმოსვლის სისტემას).<br><br>2. მოხდება სკოლებში სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო ბიუჯეტი | ექსპერტთა მიერ სპეცსკოლების საჭიროებების კვლევის შედეგებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე მომზადებული მეთოდოლოგიური ცვლილებების პაკეტი<br><br>სკოლებში მეთოდოლოგიური ცვლილებების პილოტირების შედეგები<br><br>სპეცსკოლების მოსწავლეთა რაოდენობა ჩართული საჯარო სკოლებში<br><br>სპეცსკოლებში განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა<br><br>უწყებათაშორისი შეხვედრები | ორი სპეციალიზებული სკოლა ფუნქციონირებს თანამედროვე მიდგომებით და მოსწავლეები იღებენ ხარისხიან განათლებას |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სპეციალიზებული სისტემის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ალტერნატიული მეთოდებით მათი პროფესიული უნარების განვითარება (არაფორმალური განათლება) | 1. შეიქმნება საკოორდინაციო მექანიზმი სხვადასხვა უწყების ამ მიმართულებით თანამშრომლობის გასაძლიერებლად.<br>2. მოხდება პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების სამსახურების მჭიდრო კოორდინაცია.<br>3. მოხდება პროფესიული სწავლების ცენტრების თანამშრომელთათვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შემუშავების სწავლება. | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა | 1. შესწავლილი იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მიერ უმაღლესი განათლების მიღებას.<br>2. მოხდება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პირობების მორგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე, რისთვისაც მომზადდება სათანადო ნორმატიული აქტები.<br>3. მომზადდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტუდენტებისათვის (მომავალი/პოტენციური ლექტორებისათვის) სალექციო კურსი ინკლუზიური განათლების შესახებ. | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br>დონორი | კვლევის შედეგები<br>(იდენტიფიცირებული ის ფიზიკური, სოციალური, ინსტიტუციონალური და ა.შ. ფაქტორები, რაც ხელს უშლის შშმპ უმაღლესი განათლების მიღებას)<br>კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული პროგრამები<br>შემუშავებული და დამტკიცებული ნორმატიული აქტები | უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში შექმნილია შშმპ ხელსაყრელი განათლების პირობები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მომზადებული სალექციო კურსები | |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის განათლების სპეციალისტების მომზადების უზრუნველყოფა | 1. მოხდება სხვადასხვა პროფილის პედაგოგთა გადამზადება და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინება ლიცენზირების დროს.<br><br>2. მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა მომზადება საუნივერსიტეტო ან დიპლომისშემდგომი განათლების კურსების მეშვეობით (მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი და სხვ.).<br><br>3. მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურე დაწესებულებებში (დღის ცენტრებში და ა.შ.) დასაქმებულ პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება.<br><br>4. მოხდება საუნივერსიტეტო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანა.<br><br>5. მოხდება ჟესტური ენის სპეციალისტების მომზადება.<br><br>6. ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჟესტური ენის სწავლება. | 2010-2012 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | ლიცენზირების შედეგები<br><br>კურიკულუმების კვლევის შედეგები და მომზადებული რეკომენდაციები<br><br>განახლებული სასწავლო პროგრამები<br><br>შეფასების/ტესტირების შედეგები | შშმპ მომუშავე სპეციალისტები ფლობენ თანამედროვე მიდგომებს |
| **ჯანმრთელობის დაცვა** | | | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესება | ჯანდაცვის სპეციალისტების სასწავლო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის საკითხის შეტანა და დახვეწა | 2010-2011 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | სპეციალისტების დაფარვის %<br><br>სასწავლო საგ- | სპეციალისტების აბსოლუტურ უმრავლესობას მიეწოდა საბაზისო ცოდნა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სამინისტრო | | ნების/საათების ოდენობა | |
| სახელმწიფო დაფინანსების საკითხის სრულყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით | 1. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაავადებების ნუსხის გადახედვა ზოგიერთი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.<br>2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო მედიკამენტებით დახმარების პროგრამის გადასინჯვა და გაფართოება. | 2010-2011 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფარვის % | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიეწოდა საბაზისო (მინიმალური) მომსახურება |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევის სისტემის სრულყოფა | მინიმალური ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის შემუშავებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის გამორიცხვა | 2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფარვის % | მოწყვლადი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აბსოლუტურ უმრავლესობას მიეწოდა საბაზისო (მინიმალური) დაზღვევა |
| **აბილიტაცია და რეაბილიტაცია** | | | | | | |
| ადრეულ სტადიაზე ბავშვთა შეზღუდული შესაძლებლობის პრევენციის, აბილიტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება | 1. ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება/განვითარება – ცერებრული დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცნს ანთებითი და ვასკულარული დაავადებების ნარჩენი მოვლენების, მხრისა და მხრის სარტყლის ნერვების დაზიანების მქონე პირთა მკურნალობა და რეაბილიტაცია.<br>2. ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება/განვითარება – ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიის მქონე ბავშვთა მკურნალობა, პოსტოპერაციული რეაბილიტაცია და სოციალური | 2010-2012<br><br>2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | ბავშვთა დაფარვის % | ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა დაფარულია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ადაპტაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.<br><br>3. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგ-რამის განხორციელება/განვითარება – ფი-ზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვ.) ადრეული პრევენცია/რეაბილიტაცია.<br><br>4. ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვე-ვების პრევენციისა და ადრეული დიაგნოს-ტიკის პროგრამის განხორციელება/განვი-თარება – მენტალური განვითარების მსუბუქი და საშუალო ხარისხის დარღვე-ვების ადრეული დიაგნოსტიკა, პროფილაქ-ტიკა და პრევენცია. | 2010-2012<br><br>2010-2012 | | | | |
| ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაცია/პრევენცია | ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლო-ბის მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგ-რამების განხორციელების ხელშეწყობა | 2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრ-თელობისა და სოციალური დაცვის სამინის-ტრო | დონორი<br><br>სახელმწიფო ბიუჯეტი | პროგრამების განხორციელე-ბის ფაქტი | საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნაწილი მოცულია |
| **შრომა და დასაქმება** | | | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის თანაბა-რი უფლებების დაცვა | საჭიროების შემთხვევაში ტრიპარტულ მხარეებთან შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების შეთანხმება | 2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრ-თელობისა და სოციალური დაცვის სამინის-ტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტრიპარტულ მხარეებთან მოლაპარაკებები | შრომის კანონმდებლობა არადისკრიმინა-ციულია |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების, თვი- | შეიქმნება სასწავლო (მომზადების/გადამ-ზადების) პროგრამები, რომელიც გამიზ- | 2010-2012 | საქართველოს რეგიონული | დონორი | დასაქმებულ შეზღუდული | წლიურად დამატებით მცირე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თდასაქმებისა და მცირე ბიზნესში ჩართვის ხელშეწყობა | ნულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითდასაქმებისა და მცირე ბიზნესში ჩასართველად | | განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br><br>საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები | შესაძლებლობის მქონე პირთა რიცხვის ზრდა | ბიზნესში ჩაერთო მსურველთა 15-20% |
| **სოციალური დაცვა** | | | | | | |
| სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის ეფექტიანობის გაზრდა | 1. მოხდება სიღარიბის შეფასებისას შეზღუდული შესაძლებლობის ფაქტორის ადეკვატურად გათვალისწინება.<br><br>2. მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადეკვატური ჩართვა საპენსიო და სხვა სოციალურ პროგრამებში. | 2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები | სიღარიბეში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხვედრითი წილი<br><br>მიზნობრივი საარსებო შემწეობითა და პენსიებით მოცული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა | სიღარიბეში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემცირება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკურორტო-რეკრეაციული პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა | 1. გაიზრდება საკურორტო რეაბილიტაციის პროგრამების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის.<br>2. ორგანიზება მოხდება რეზიდენტულ დაწესებულებაში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (განსაკუთრებით ბავშვების) დასასვენებლად საქართველოს კურორტებზე.<br>3. ახალი საკურორტო-სარეაბილიტაციო კომპლექსების შექმნის ხელშეწყობა. | 2010-2012<br><br>2010-2012 | ქ. თბილისის მერია<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები | ქ. თბილისსა და რეგიონებში მცხოვრები შშმპ-ის ხვ.წილი<br><br>რეზიდენტულ დაწესებულებაში მყოფი შშმპ-ის ხვ. წილი | პროგრამები ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის<br><br>რეზიდენტულ დაწესებულებაში 2010 წელს არანაკლებ 70 პირის დასვენება და შემდეგ, ყოველ წელს, დამატებით არანაკლებ 10 პირის დასვენება |
| სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ღირსეული პირობებისა და სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა | 1. სპეციალიზებული დაწესებულებების საჭიროების შეფასება.<br>2. სპეციალიზებულ დაწესებულებებში მომსახურების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა. | 2010-2011<br><br>2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | საჭიროებების დაკმაყოფილების % | სპეციალიზებულ დაწესებულებებში მყოფი პირები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი საცხოვრებლით, ხარისხიანი მოვლითა და ინდივიდუალური განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით<br><br>სტანდარტები შემუშავებულია და დამტკიცებულია |
| რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიული სერვისების განვითარების ხელ- | 1. დეინსტიტუციონალიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის დახვეწა და განხორციელება. | 2010-2012 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | მომსახურების სტანდარტების არსებობა | დღის ცენტრების მომსახურებით 2010 წელს სარგებლობს არანაკ- |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეწყობა | 2. ალტერნატიულ მოდელებზე დაფუძნე-ბული სერვისების (ოჯახის ტიპის სახლები, დღის ცენტრები, სათემო, შვილობილობა, რეინტეგრაცია და სხვ.) შემუშავება და ფართოდ დანერგვა.<br><br>3. დღის ცენტრების სტანდარტების შემუშავება. | | დაცვის სამინისტრო | | მომსახურებით დაფარვა<br><br>სტანდარტი შემუშავებულია | ლებ 700 და ყო-ველ მომდევნო წელს დამატებით 50 შშმპ<br><br>სათემო მომსახუ-რებით ყოველ-წლიურად სარგებ-ლობს არანაკლებ 57 პირი<br><br>მიმღებ ოჯახებში ყოველწლიურად მომსახურებას იღებს არანაკლებ 90 შშმ ბავშვი<br><br>რეინტეგრაციის შემწეობას ყოველწლიურად იღებს 30 ბავშვის ოჯახი |
| **კულტურა და სპორტი** | | | | | | |
| ქვეყნის კულტურულ და სპორ-ტულ ცხოვრებაში შეზღუდუ-ლი შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვის ხელშეწყობა, მათთვის კულტურული და სხვა ღონისძიებების ხელ-მისაწვდომობის გაზრდა | 1. კულტურისა და სპორტის სფეროში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა.<br><br>2. განხორციელდება კულტურული და სპორტული დაწესებულებებისა და ღონისძიებების, კულტურის ძეგლებისა და სპორტული კლუბების ინვენტარიზაცია-კვლევა, მათი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (ინვენტარიზაციის კონცეფციის შემუშავება/კოორდინირება სხვა სათანადო უწყებებთან).<br><br>3. შემუშავდება და განხორციელდება ღონისძიებები ამ დაწესებულებების | 2010<br><br>2010-2012<br><br>2010-2012 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვი-სა და სპორტის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვის ხარის-ხი<br><br>ძეგლების ხელ-მისაწვდომობის ხარისხი<br><br>ტრენინგგავ-ლილ პირთა რაოდენობა | ჩართულთა რაოდენობა იზრ-დება წ-ში 15-20%-ით<br><br>ძეგლების ხელ-მისაწვდომობა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს (ასეთი ძეგლების რიცხვი ყოველ წელს იზრდება 20%-ით) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.<br><br>4. განხორციელდება კულტურის სფეროში მოღვაწე პერსონალის წვრთნა/ტრენინგი, სხვადასხვა ჯგუფის ინვალიდებთან მუშაობის უნარების განვითარება.<br><br>5. ხელოვნების სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობების კვლევა.<br><br>6. სახელოვნებო ორგანიზაციებისა და სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. | 2010-2012 | | | | ტრენინგგავლილ პირთა რაოდენობა – წ-ში 200 პირი |
| ხელოვნებისა და ლიტერატუ-რის ნიმუშების ხელმისაწვდო-მობის გაზრდა | ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიმუშები დაიბეჭდება ბრაილის ანბანით, შეიქმნება აუდიოვერსიები და გამოყენებულ იქნება სხვა ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გავრცელდება ბიბლიოთეკებში, სკოლებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში | 2010-2012 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვი-სა და სპორტის სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | ყოველწლიურად ჩაწერილი და გავრცელებული გვერდების რაოდენობა | ყოველწლიურად ჩაიწერება და გავრცელდება არანაკლებ 20 000 გვ. ლიტერატურა (ყველა ტიპის საჭიროებები-სათვის)<br><br>2012 წლისათვის საჯარო სარგებ-ლობის ბიბლიო-თეკებში არსე-ბობს სპეცია-ლური საშუა-ლებით გამო-ცემული ლიტერა-ტურა (არსებულ წყაროთა არა-ნაკლებ 20%) |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კულტურული | 1. მხარდაჭერილი იქნება, მათ შორის ფინანსურად და ორგანიზაციულად, | 2010-2012 | საქართველოს კულტურის, | სახელმწიფო ბიუჯეტი | კულტურული ღონისძიებების, | ჩართულთა რაო-დენობა იზრდება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თვითშემოქმედების ხელშეწყობა | ინვალიდთა კულტურული ღონისძიებები, წრეები, ანსამბლები და შემოქმედება (კერძოდ, ცეკვის, ჟესტური სიმღერისა და თეატრის განვითარება).<br>2. შეიქმნება ინტეგრირებული/ინკლუზიური კულტურული, შემოქმედებითი და სპორტული პროგრამები. | | ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | დონორი | წრეების, ანსამბლებისა და მათში ჩართულთა რაოდენობა | წ-ში 15-20%-ით |
| სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის ხელშეწყობა | 1. მოხდება სპორტის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგიის განვითარება და განხორციელება.<br>2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტული საჭიროებებისათვის (განსაკუთრებით სპორტის გუნდური სახეობებისათვის) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ხელშეწყობა.<br>3. შემუშავდება სასწავლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის მწვრთნელებისა და მასწავლებლებისათვის და შესაბამისად, განხორციელდება მათი მომზადება/გადამზადება.<br>4. მწვრთნელებისათვის ითარგმნება და გავრცელდება საერთაშორისო კლასიფიკატორები და სტანდარტები.<br>5. განვითარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტი ინტეგრირებულად, როცა ამის წინაპირობები არსებობს (ინვალიდობა ამას ხელს არ უშლის). | 2010-2012 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br>დონორი | ჩართულთა რაოდენობა | ჩართულთა რაოდენობა იზრდება წ-ში 15-20%-ით |
| | 6. სასკოლო სისტემის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სხვა ბავშვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში. | 2010-2012 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br>დონორი | ჩართულთა რაოდენობა | ჩართულთა რაოდენობა იზრდება წ-ში 15-20%-ით |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | | | |
| პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და საერთაშო-რისო ღონისძიებებში/შეჯიბ-რებებში მონაწილეობის ხელშეწყობა | პარაოლიმპიური სპორტის ინსტიტუციური განვითარება, საერთაშორისო კავშირების დამყარება და შეჯიბრებებში მონაწილეობა | 2010-2012 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვი-სა და სპორტის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | ღონისძიებათა და მათში მონაწილეთა რაოდენობა | მონაწილეობენ ყველა წამყვან პარაოლიმპიურ ღონისძიებაში<br><br>ჩართულთა რაო-დენობა იზრდება წ-ში 15-20%-ით |
| უსინათლოების ინტეგრაცია | კომპიუტერული პროგრამა „ინტერბუსის“ დანერგვა | 2010 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვი-სა და სპორტის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | კომპიუტერული პროგრამა „ინ-ტერბუსი“ და-ნერგილია ბა-თუმში, ფოთში, ზუგდიდში, ქუ-თაისში, გორში, რუსთავში, სიღ-ნაღში, გურჯა-ანსა და თელავ-ში | უსინათლო პირე-ბი სარგებლობენ 1500 ეგზემპლარი ხმოვანი ელექ-ტრონული წიგნით |
| ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა ცნობიერების ამაღლება | ქართული კულტურის შესახებ ვიდეოკლი-პის შექმნა | 2010-2012 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვი-სა და სპორტის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | ქართული კულ-ტურის შესახებ ვიდეოკლიპი გავრცელებუ-ლია სკოლებსა და ბიბლიოთე-კებში | ქართული კულ-ტურის შესახებ ვიდეოკლიპით სარგებლობენ ყრუ და სმენადაქ-ვეითებული პირე-ბი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება** | | | | | | |
| პოლიტიკის განსაზღვრისათვის სახელმწიფო დაწესებულებების მიერ კვლევების შედეგების გამოყენება | პოლიტიკის განსაზღვრისათვის სახელმწიფო დაწესებულებებმა შეაგროვონ და გამოიყენონ თავიანთ სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგები | 2010-2012 | დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები | დონორი<br><br>სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები | შეგროვებული კვლევების რაოდენობა | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების ინდივიდუალურ მონაცემთა ბაზების შექმნა | 1. შემუშავდება ინვალიდის ბიოფსიქოსოციალური ბარათის ფორმატი და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების მეთოდიკა.<br><br>2. მომზადდება/გაიწვრთნება საჭირო კადრები.<br><br>3. შემუშავებული ბარათის ფორმატის საფუძველზე შეიქმნება ინდივიდუალიზებული მონაცემთა ბაზა (პიროვნების საიდუმლოების დაცულობის გათვალისწინებით). | 2010-2011<br><br>2010-2011<br><br>2011 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | ბაზის შექმნის ფაქტი, სისრულე და მონაცემების ხარისხი | ბაზა გამოსადეგია პოლიტიკის დასაგეგმად<br><br>ბაზის სარგებლიანობა დადებითადაა შეფასებული ექსპერტების მიერ<br><br>მომზადებულია საჭირო რაოდენობის კადრები |
| **სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტები** | | | | | | |
| საქართველოს საკანონმდებლო აქტების სრულყოფა | 1. ჩატარდება მოქმედი საკანონმდებლო აქტების ანალიზი.<br><br>2. მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს. | 2010 | სამინისტროები და სხვა უწყებები<br><br>საკოორდინაციო საბჭო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა | საკანონმდებლო აქტები შესაბამისობაშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მოთხოვნებთან |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემატიკაზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და სამოქალაქო საზოგადოების | 1. დაიწყებს ფუნქციონირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო.<br><br>2. მკაფიოდ ჩამოყალიბდება ფუნქციები და | 2010 | საქართველოს მთავრობა<br><br>საკოორდინაციო საბჭო | სახელმწიფო ბიუჯეტი<br><br>დონორი | სახელმწიფო უწყებებს შორის საკოორდინაციო შეხვედრების რეგულარობა | სამინისტროებსა და დაწესებულებებს შორის რეგულარულად ტარდება საკოორდინაციო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინსტიტუტებთან კოორდინაცია | პასუხისმგებლობები ინვალიდობის სფეროში სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას შორის. | | | | ინფორმაციის გაცვლის აწყობილი სისტემის არსებობა | შეხვედრები<br><br>მოქმედებს ინფორმაციის გაცვლის აწყობილი სისტემა |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის გაზრდა | ინვალიდთა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით განხორციელდება სიტუაციის მონიტორინგი ადგილებზე | 2010-2011 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები<br><br>დონორი | კვლევისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგები<br><br>ინვალიდთა ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მონიტორინგის ანგარიშების წარდგენა | რადიკალურად გაძლიერდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა |